კვირა 14 თებერვალი 1916 წ.

ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ: ჟურნალი

№ 7

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული საქმე.

ქართულ საქმეს რო დაიწყებ
გაიხედავ...
უცებ ხათა!!
საცა იყოს და არ იყოს
გამოხტება
შავი კატა.
კუდს გამოჰკრავს და რამდენიც
არ უძახო:
—აცხა! აცხა!!
არ დასტოვებს თუ ის საქმე
საგრძნობლად
არ დაამარცხა.
ეს ამბავი გამახსენა
მე კავშირმა
კახეთისამ...
იქაც საქმე სასარგებლო
დაამარცხა
შავმა ციცამ.
შავმა კატამ გაირბინა
თელავსა და
სიღნაღ შორის

და რამეთუ ხასიათი
ქართველ კაცსა
დასდევს ჯორის,
გაჯიუტდა ისიც, ესეც...
კატა უფრო
დატრიალდა
და კავშირი, საქმე კარგი
გაგვიოხრდა,
გატიალდა.

ეშმაკი.

მ ა რ ცხ ი.

ჩემი თავის ფასი დიაღ ვიცოდი და „საღამოში“ მონაწილეობა რომ მთხოვეს, სწორეთ ისე მოვიქეცი, როგორც ყოველსავე სახელ განთქმულ მწერალს შეჰფერის.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უარი უნდა მოგახსენოთ: არამც და არამც თქვენს „საღამოში“ მონაწილეობა არ შემიძლიან,—გადაჭრით ვუპასუხე მე ჩემთან გამოგზავნილ დეპუტატს და სახეში მივაჩერდი: მინდოდა დავტკბარიყავ იმ ელდანაცემ გამომეტყველებით, რომელსაც ჩემი უარი გამოიწვევდა.

დეპუტატის სახე არც ისეთი მოძრავი აღმოჩნდა, როგორც მე მოველოდი და სულაც არ დაეტყო ცვლილება. ალბათ, წინდაწინვე მოელოდა ჩემ უარს.

— ამისდა გვარათ თქვენ გვაიძულებთ ჩვენი პროგრამის საუკეთესო ნომერი ამოვშალოთ და მთელი „საღამო“ დავამახინჯოთ. ამას არ მოველოდით თქვენგან, ბ. თაგუნა!—საყვედურით მითხრა მან.

— როგორ თუ საუკეთესო ნომერი?—განგებ ჩავკითხე მე.

— თქვენი ნაზისა და მკვეთრი იუმორის იმედი გვქონდა, ბ-ნო! თქვენ უნდა დაგემშვენებინათ ჩვენი „საღამო“... მარტო თქვენი გულისთვის რამდენი კაცი და ქალი დაესწრებოდა... ეს კი... ნუ ინებებთ, ბ. თაგუნა, ნუ გეწყინებ... ეს, თუ ღმერთი გწამდეთ!

„არასოდეს ნაჩქარევათ არ უნდა შეადგინო აზრი რომელსამე ადამიანზე,—ვფიქრობდი მე, დეპუტატის გულწრფელათ ნათქვამ სიტყვებს რომ ვისმენდი. „აი ეს ყმაწვილი: როგორი სიმპატიური სახისაა ამ წუთში, რა წრფელი და ბუნებრივი კილო აქვს მის ლაპარაკს... მე კი მაგას ალმაცერათ ვუცქეროდი, სხვების ფეხის ხმას ავყევ და მეტიჩარა კაცათ მყავდა წარმოდგენილი“...

მაინცა და მაინც ასე უცებ თანხმობის თქმა არ შეიძლებოდა.

— მე მესმის ყველა ეს, ჩემო ბატონო, მაგრამ რა გაეწყობა, რომ მაინც უარი უნდა მოგახსენოთ,—ვუთხარი მე.

— მიზეზი?

— მიზეზი ათასია და, სამწუხაროთ, ყველა მეტის მეტათ პატივსადები: ერთი რომ ჩვენი ჟურნალის მორიგი ნომერი უნდა შევადგინო და ორი საკუთარი წერილიც დავწერო; მეორე—კარიკატურები და შარეები უნდა დავამზადო იმავ ჟურნალისათვის; მესამე—„აზრის“ რედაქციამ მთხოვა და ამ კვირისათვის „პატარა ფელეტონი“ უნდა დავუწერო; მეოთხე—ერთი კომედიის წერა დავიწყე—ძლივს თავი მოვუყარე ტვინში ერთი წლის ნაფიქრს—და რომ შევწყვიტო შემოქმედების ძაფიც გამიწყდება და, თქვენ ხომ მოგეხსენებათ, რას ნიშნავს მწერლისათვის შემოქმედების ძაფის გაწყვეტა?..

თუმცა არც ჟურნალის ნომერი მქონდა შესადგენი, („ეშმაკი“ ადგენს ხოლმე) არც უნდა დამეწერა რამ (მასალა არა მქონდა და თან ჩვეულებისამებრ მეზარებოდა კიდეც), არც „აზრს“ უთხოვია რისამე დაწერა (პირიქით: ბარე სამი ფელეტონი მაქეს გაგზავნილი და არ მიბეჭდავენ), კომედია ხომ არც კი დამსიზმრებია, მაგრამ, ღმერთს გეფიცებით, მე მაშინ არა ვტყუოდი; იმ წუთში დარწმუნებული ვიყავ რომ ყველა ის საქმე, მე რომ მოვიმიზეზე, მართლაც ჩემი გასაკეთებელი იყო; ეს მე გულწრფელათ მჯეროდა...

დეპუტატის სახეზე უაღრესი პატივისცემისა და განცვიფრების გამომეტყველება აღიბეჭდა.

— ბ. თაგუნა,—დაიწყო მან მორიდებით: ნუთუ გგონიათ, რომ მე არ მესმის თქვენი მდგო-

მარეობა... თქვენთვის ყოველი წუთი ძვირფასია— ეს ჩვენც კარგად ვიცით—და თუ მაინც გაწუხებთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამის აუცილებლობა გვაიძულებს... უთქვენოთ ჩვენი „საღამო“ არაფრად ივარგებს... რაც შეეხება თქვენი შრომის დაფასებას, ე. ი. გასამრჯელოს... ანუ, უკეთ რომ ვთქვათ... ჰონორარს (აქ დეპუტატი საშინლათ დაიბნა და ჭარხალივით გაწითლდა), დამიჯერეთ, „საღამოს“ გამმართველები არც ისე უმადურები და შეუგნებლები არიან, რომ...

— უმორჩილესათ გთხოვთ, ჰონორარზე ლაპარაკი აღარ განაგრძოთ,—გავაწყვეტინე მე:—ჩემი პრინციპი ყველასათვის ცნობილია: საქველმოქმედო „საღამოში“ მონაწილეობისათვის სასყიდელს არასოდეს არ ავიღებ...

ნახევარ საათზე მეტს გაგრძელდა ჩვენი ლაპარაკი და ბოლოს იძულებული გავხდი თანხმობა გამეცხადებია.

ჩემმა დეპუტატმა აღფრთოვანებული მადლობა მითხრა, მაგრათ ჩამომართვა ორივე ხელი და წავიდა.

დეპუტატი რომ გავაცილე და დავბრუნდი, ოთახში ჩემი ცოლი დამიხვდა.

— ვინ იყო ის კაცი?—მკითხა მან.

— განა ვერ იცნობ? ეგ არის ტარიელ ცანცარაშვილი... მშვენიერი ყმაწვილია... ნაკითხი, ზრდილობიანი და საღიტერატურო გემოვნების კაცი,—ვუპასუხე მე.

— რა უნდოდა?

— არაფერი... წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ „საღამო“ იმართება და მონაწილეობის მიღება მთხოვა.

— როგორ?.. შენ?.. შენ გთხოვა მონაწილეობის მიღება... ღმერთო ჩემო! მერე ეგრე გულგრილათ მეუბნები? ეგ ხომ იმას ნიშნავს, რომ შენ შეგამჩნიეს, დაგაფასეს!.. რა უნდა წაიკითხო? როდის არის „საღამო“?

ისეთი აღტაცებითაა და სხაპასხუპით მომაყარა სიტყვები, რომ მეც ამიყოლია და სავსებით გავიზიარე იმისი სიხარული.

თვალწინ დამიდგა კარზე მომდგარი დიდების სურათი. განათებული დარბაზი... ხალხის ტევა არ არის... ყველას მოუთმენლობ ეტყობა, „თაგუნა, თაგუნა, თაგუნა“,—გაისმის ყველგან... აი ფარდაც აიხადა. გამოვედი... ტაშის გრიალმა შეარყია ჰაერი. მე დაბლათ თავს ვუკრავ ხალხს და ვუცდი დაწყნარებას.. ვიწყებ... პირველი სიტყვისთანავე დარბაზში ხარხარი გაისმის, მოსწრებული ოხუნჯობისაგან გამოწვეული შეუკავებელი ხარხარი, და სხვა...

თემა იმავე დღეს მზათ მქონდა და მეორე დილიდან წერას შევუდექი. ჩემი ბინა წმინდა ტაძარს დამსგავსა. იმ გვარი მყუდროობა და დუმილი, როგორც იმ დღეებში სუფევდა ჩემს ბინაზე, მხოლოდ ტაძარში თუა შესაძლებელი. დაწყებული ჩემ მოხუცებულ დედამისაგან ვიდრე უმცროს 3 წლის ვაჟამდე ყველანი უხმო აჩრდილებივით დადიოდენ სახლში, ფეხ აკრეფით, ცერებზე, და შიშითა და მორიდებით მიცქეროდენ წარბ-ქვეშიდან.

— როგორ მიდის საქმე?.—ჩურჩულით მკითხავდა ხოლმე საღამოობით, წერას რომ მოვრჩებოდი, ცოლი.

— ბევრი დასწერე, შვილო?—მეკითხებოდა ხმა ამოუღებლივ, ხმელთ ტუჩების მოძრაობით, მამაჩემი.

— ხომ არ გიშლით, მამი? ჩამილაპარაკებდა კრძალვით უფროსი ქალი.

— ღოდის მოლცები წელაობას, მამილო?— აკანკალებული ხმით ჩამეძიებოდა უმცროსი ვაჟი.

მე კი, შემოქმედების ბურუსში გახვეული და ამ სოფელს განშორებული, ისე ვუყურებდი მათ, როგორც ხელოვნების ქეშმარიტ ქურუმს შეჰფერის და ხშირათ სულაც არ ვუპასუხებდი ხოლმე კითხვაზე...

5 დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობაში გავატარე და მეექვსე დღეს, როგორც იყო მოვრჩი. ეს დღე საუკეთესო დღე იყო მთელ ჩემ ცხოვრებაში. ჩემს სახლში ნამდვილი დღესასწაული გაჩაღდა. მთელ ჩემ ჯალაბობას მოვუყარე თავი და წავუდექი ჩემი ნაწარმოების კითხვას. იმ შთაბეჭდილების აღწერა, ჩემმა იუმორისტულმა ესკიზმა რომ მთაზე მოახდინა, ყოველად შეუძლებელია. ეს იყო რაღაც სტიქიონური ხარხარი, ძლიერი და გაუწყნარებელი, რომლის მსგავსი არსად გამიგონია, არასოდეს.

ხარხარებდა ბოხის ხმით მამაჩემი, იცინოდა გიჟივით დედაჩემი, კისკისებდენ და ფერდებზე ხელს იტერდენ ჩემი ცოლი და უფროსი ქალ-ვაჟი, იატაკზე გორაობდა ხარხარისაგან ღონე მიხდილი ჩემი ძმა, ცახცახებდა და სიცილის ცრემლებს ღვრიდა ჩვენი მზარეული დედაკაცი, ასე გეგონებოდა, კედლები, იატაკი და ჭერიც მონაწილეობას იღებენ ამ საერთო თავაშვებულ ხარხარშო.

მეზობლის ბინიდან კაცი გამოგვიგზანეს, დიასახლისს გული წასვლოდა ჩვენებიანთ ხარხარისაგან და გვთხოვდენ თუ შეიძლებოდეს შესწყვიტეთო.

ერთი სიტყვით ჩემი ნაწარმოები ჩინებული გამოდგა. მე დავინიშნე ყველა ის ადგილები, საცა მაყურებელთა განსაკუთრებით ძლიერი ხარხარი იყო მოსალოდნელი და გადავწყვიტე ასეთ ადგილებზე კარგა დიდი პაუზა გამეკეთებინა ხოლმე, რათა ხალხი ოდნავ მაინც დაწყნარებულიყო...

თაგუნა

(დასასრული იქნება)

შარადა

სიტყვა მოვნახოთ ისეთი,
თვალით არ ინახებოდეს...
ალი არ ჰქონდეს ხილული,
გზას მაინც ინათებოდეს.

„საქართველოში“ არა სჩანს,
ვეძებ „სახალხოდ“ მნახველთა...
იმისი მოხაზულობა
შერჩა მესამე დასელთა.

სახელი ჩინებულია,
განძი ხომ უფრო საღირსი...
თუმც არ გვეპირია მეოთხე,
ბოლო ანბანი ამისი.

ის უნდა მოვსპრათ უთუოდ...
აქ ყოყმანობა მეტია...
ესრედ მოჰკვდების ყოველი,
ვინც ბედის განამეტია.

—

აწ სიტყვა გვინდა მეორე,
სამ ანბან გამომსახველი
უწვავ-უხარშავ კომბოსტოს
რო ეწოდება სახელი.

გარნა თუ მარტო კომბოსტო,
ან ხახვი, ან თუ ჭარხალი...
მიისაკუთრებს ამ სიტყვას
კაციც ბრიყვი და „ნაზალი“
თუ იგი, ჯერეთ-რეგვენი,
რძე შეუშრობი სახედა
ძალას დაატანს გონებას
და ორატორობს მკვახედა.

—

ეგ ორი მოკლე სახელი
შეაკარშირეთ ძმურადა
და თქვენ ქალაქის სახელი
ჩაგეწვეთებათ ყურადა.
იგი სახელი ამ ჟამად
ქვეყანას აკრავს პირზედა;
ვის გულს სიამით ალავსებს,
ვის ჭირს უმატებს ჭირზედა.
იცანით?
ვერა?
რა მოხდა?
აქ რაა ნეტავ ასეთი,
თუ კი გინახავთ ქარტაზე
ოსმალეთი და სპარსეთი?

კოლო.

აწ განუტევე მეუფეო!..

ყოველთვის, როცა ჩვენი სოც.-ფედერალისტები თავისს სიმამაცე-გაბედულებასა, დევნა-შევიწროებასა და ტანჯვა-წამებაზე ჩამოაგდებდენ სიტყვას,

მე ჩუმათ, ჩემთვის, ჩამეცინებოდა ხოლმე.

რავქნა, ასეთი ხასიათი მოუცია განგებას ჩემთვის!..

მოვკრავ ყურს თუ არა მათ ამგვარ წუწუნს, მაშინვე ჩემდა უნებლიეთ ჩამეცინება.

არასოდეს არ შევკითხებივარ ჩემს თავს, თუ რისთვის მეცინება ხოლმე, იმდენათ ბუნებრივი და ძალ-დაუტანებელია ეს სიცილი.

ახლა?

ახლა გარემოება ერთბაშად შეიცვალა! ეს უკვე იმდენათ აშკარაა, რომ შეუძლებელია მეც არ დავინახო.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ სოც.-ფედერალისტებს მართლა სდევნიან, როგორც „სოციალურ“ (?) მიმართულების ხალხს და სდევნიან არა პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ სამეურნეო დარგ-

შიაც. სდევნიან მათვისს ყველაზე უფრო საგრძნობ სფეროში.

ეს გამოირკვა მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის“ კრებაზე და გამოარკვია თ-მა მ. ჭავჭავაძემ. იმან განაცხადა:

„ახლავე ვაფრთხილებ კრებას, სოციალური (?) მიმართულების ხალხი არ აირჩიოს გამგეობაში, თორემ საქმე ცუდად წავა. ახალ კლუბს გავაუქმებინებ თავისს დადგენილებას და არცერთ კაპეიკს არ მივაცემინებ ამ საზოგადოებისათვის. ვეტყვი საადგილ-მამულო კომისიას, რომ ერთი კაპეიკი არ მისცეს „მეურნის“ საზოგადოებას და სხვა*)“.

აი ბატონებო უტყუარი ფაქტი! ფაქტი მომხდარი 7 თებერვალს ახალი კლუბის დარბაზში. თავადი ჭავჭავაძის რისხვა უმთავრესად სოც.-ფედერალისტ თედორე ღლონტს, ქ. ქავთარაძეს, ივ. ბალიაშვილსა და ს. დადიანს დაატყდათ თავს. დაბოლოს, როგორც ყოველთვის, სოც.-ფედერალისტებმა გაიმარჯვეს და „მეურნის“ გამგეობას ეყოლება ისეთი ბუხგალტერი, როგორიც თედორე ღლონტია, მაგრამ ჩვენთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ჩემთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ისტორიულ შემთხვევას, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკე.

ჩემთვის უდრესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საქართველოში გამოჩნდა კაცი (არა სოციალისტ-ფედერალისტი) რომელმაც „სოციალისტ“-ფედერალისტს გულწრფელად შესწამა სოციალისტობა.

ეს კაცი გახლავთ ახალი კლუბის მამასახლისთა მამასახლისი თავ. მ. ჭავჭავაძე. აჰ, ნეტავ პირადათ ვიცნობდე მას და მელაპარაკა მასთან. მე მგონია ეს რაღაც სულ სხვანაირი ქართველი კაცი იქნება, ან მაღალ-მაღალი და წვრილი, ან დაბალ-დაბალი და მსხვილი, ან კიდევ საშუალო. ის „სოციალისტობაზე“ ძლიერ ცუდი აზრისა უნდა იყოს, რომ ჩვენებური ფედერალისტებიც იმათ რიცხვს მიაკუთვნა.

ასეა, თუ ისე სოც.-ფედერალისტებმა უკვე დაიდგეს თავს დევნის გვირგვინი და დაიდგეს როგორც „სოციალისტებმა“. თედორე ღლონტი დღემდეც აბზარ ყვინჩილასავით ყოყოჩობდა „მისი პარტიის“ მიმართ რეპრესიებით და ახლა, 7 თებერვლის შემდეგ ვინღა გაუძლებს მათ მედიდურობას?

მაშ, განუტევე მეუფეო მონა შენი, რამეთუ ღლონტი იგი თევდორე არღა მისცემს მას მოსვენებასა, ამინ.

ეშმაკი.

*) „სახალხო ფურცელი“ № 488

პასუხი

(რაჭველ ინტელიგენტებს.)

ხალხის უცნობ-უცხოსა
„მცონარეს და უფხოსა“
გვიწოდებენ ხშირადა.
სოფლად ჩვენსა მხნეობას
შრომა მოღვაწეობას
გვიფასებენ ჩირადა.

აქაო და იმათო
ღრმა ძილითა სძინავთო
სასო წარკვეთილიო
ურთ-ერთს მტრულად უბღვერენ
და საქმეს კი უცქერენ —
გულ-ხელ დაკრეფილიო.

ვინც რომ კარგად არ გვიცნობს
ის ჩვენ არ თანაგვიგრძნობს
მიტომ რომ არ სმენია
სოფლელთ შორის მხნე შრომა
ფხიზელ დარაჯათ დგომა
და სიმტკიცე ჩვენია.

ჩვენ ვართ ხალხის კანდელი,
მისი თაფლის სანთელი
და ვუნათებთ წყვდიადსა.
ვხვდებით მისსა ზრახვასა
მისსა სულის სწრაფვასა
და მისსა ხვაშიადსა.

ჩვენ ვპირდებით მას ხსნასა
და ვუჩვენებთ სწორ გზასა
გვსურს იმათი შველანი,
ჭირსა და ლხინს მისასა
როგორც ღვიძლი ძმისასა
ვიზიარებთ ყველანი.

ქელეხს სადაც მოვკრავთ ყურს
არ ვიშურებთ სამსახურს
    იქ გავჩნდებით ხელადა...
ჩვენ ვალის მოსახდელად
და სამძიმრის სათქმელად.
    (ცოტაც საცოხნელადა).

აგრეთვე არ ვაკლდებით
სადაც კი წავაწყდებით
    ნათლობას და ქორწილებს
იქ ჩვენ სავსე ჭიქებით
და გრძელ-გრძელი სიტყვებით
    ვამსხვრევთ ჩაგრულთ ბორკილებს.

სმაში ვართ გამოცდილი,
გვიყვარს ყანწი მოზრდილი
    ვით ნამდვილი ლოთია
და არც მაშინ შევდრკებით
თუნდაც გვასხან ვედრებით
    ვით ძველი კოლოტია

ჩხუბში ხუთი გვერგება
ის ძლიერ გვეხერხება
    მასში არ გვყავს ტოლია,
თან თამაშის, კარტისა
კამათლის და ნარდისა
    ჩვენ გვაქვს მონოპოლია.

არ გვიყვარს ჩვენ არც ერთი
ჟურნალი და გაზეთი,
    არც წიგნები ძალიან,
ღვინო გვახსოვს ყოველთვის
გული მხოლოდ მას ელტვის
    კითხვისთვის არ გვცალიან.

და ყველანი ერთობით,
ასეთ საქით ვერთობით
    მეგობრულად ძმურათა
უსირცხვილოდ სტყუის ის
ვინც ერთგული მოძმე ძმის
    მტრებად დაგვასურათა.

აწ თვით მიხვდეს მკითხველი
(სწორი და პირუთვნელი)
    ვინ სტყუა და ვინ არა
და დაე სთქვას გულ-ახდათ:
ნუ თუ მართლა ჩვენ გავხდით
    ზარმაცი და მძინარა?

კბახი.

კირაკოზას წერილი ცოლთან

(მიწერილი გერმანიიდან)

მოი ზალატოი ი სოლცენევიდანი*) აიკანუშ! ცალუიუ ტებე ტვერდო ი კრეპკო. ჟივი ნა დედამიწის ზურგ დოლგი ვრემია, შტობი რადოვალ მოი პერეჟიგანი**) სერცა! ტი სამ ხარაშო ზნაიშ, შტო ია ბეზ ტებე ჟიტ ნი მაგუ, მაგრამ რას იზამ, ჩემი ბრალი ხომ არ არის!

ვინც ჩვენი სვიაზი და სბლიჟენია მოსპო. მერე რა გემოზე მოწყობილი სპალნა, რა სობსტვენი კრავატები! აფსუსი არ არის რომ მე აქ სკატინასავით თივაში ვგორაობდე და ჩემი ბუმბულის დოშაკი და კუკლასავით კრავატი ბეზდეისტვიაში იყოს! გოგო, შე რაზბონიკო, შენ მაინც გაგორდი ხოლმე ხან და ხან რომ ლოგინმა უპატრონობა არ შაიტყოს. ვიცი ჩემს ამბავს იკითხავ, მაგრამ რა გითხრა და რა მოგწერო! განა ქვეყანაზე იმდენი პერო და ჩერნილა იქნება, რომ ჩემი ნესჩასტიების აპისანია გააკეთოს! ტი სპასიბა სკაჟი ბოლუ ი ღლინი სვეჩკი პასტავ ფეთხაინუ, შტო ია ჟივ.

აბა, დუშკა, ვიწყობ ჩემი ნესჩასტიების ამბავს და არ კი შაგეშინდეს აი! მაგრათ იყავი. ემანდ შიშით მუცელი არ წაგიხდეს და არ დამღუპო კაცი. სიკვდილის პირზე რომ მივიდოდი ხოლმე მაშინვე შენ მაგონდებოდი. ვამობდი: მე ვკვდები, მაგრამ ჩემი აიკანუშა იმისთანა ნასლედნიკს გამომიგორებს მეთქი, რომ ჩემი სახელი მთელ ძაღლის უბანში დაუვიწყარი იქნება მეთქი... ჰო, იმას ვამობდი. ქალაქიდან პირდაპირ პეტრებუხში ჩამამიყვანეს და ლეტაიუჩი ბათალიონში ჩამნიშნეს, აეროპლანწკის როტაში რაღა! აეროპლანწკის როტა რომ გავიგე, შიშით ისეთი ბლედნი ცვეტი დამედო პირისახეზე, რომ გეგონებოდა ხოჯავანქის სასაფლაოდან ამოუძვრიათო. ვა, შუტკა შტოლი! იქიდან რომ გადმოვვარდე ვინ იცის ხარის ფაშივით

*) მზეთუნახავი.
**) დახრუკული.

გავსქდე. ვეებნები: გოსპოდინ კამანდირ ია ნა ზემლი კაკ ინდაფარ ხოდიმ, კაკ ია მაგუ ნა ვოზდუხ ლეტაიტ მეთქი! დამიყვირა: „ნი ტვოი დელაო“. გავჩუმდი რაღას ვიზამდი. იაკანუშ, განა შენ არ იცი ჩემი ფეხების ამბავი! გახსოვს ერთხელ მე და შენ კიბეზე რომ ჩამოვდიოდით ბოზბაშის ქვაბით! ფეხი რომ წამიბორძიკდა და დაგეტაკე, მთელი ქვაბი ბთზბაში რომ თავზე გადაგასხი! მოდი ეხლა შენ და ამ ფეხების პატრონმა ვოზდუხში ფრენა დაიწყე! ერთიც ვნახოთ გამოაგორეს რაღაცა პარაფოზიეით და მითხრეს: „უნდა ჩაჯდე შიგაო, მტერს რომ დავინახავთ ყუმბარები უნდა დავაყაროთ ზევიდანაო“. გავესეს მთელი ჰაეროპლანი ყუმბარებით და ჩავსხედით შიგ. დავჯექი და როგორც ხუთ ვერშოკიანი ლურსმით დაკრული, ისე ვარ ერთ ადგილს დაწებებული. განძრევის მეშინიან რაღა! გავინძრე, ვაი თუ ძირს ტყაპანი მოვადინო, არა და სლუჩაინათ ყუმბარას გავეხახუნო და აფეთქდეს ეს ხომ სულ უარესი ნესჩასტია იქნება! ორ ცეცხლ შუა ვარ რაღა! არ ვიცი როდის მოვა მიქვლ-გაბრიელი თაეისი მარწუხებით სულის ამოსაგლეჯათ. მამაგონდა ძველი და ახალი მიცვალებულები! ცხონებული მამაჩემი, დედაჩემი, დეიდაჩემი... შენმა სიყვარულმა ხომ ლიხარადკა დამაწყებინა შე შეითანო შენა! ერთიც ვნახოთ რაღაცა შხუილი შემომესმა. მერე დაიგრიალა თითქო შუადღის ზარბაზანი გავარდაო და სრაზუმ შურდულივით წამოველოთ ძირს. თურმე გერმანწყი აეროპრალი დაგვცემია და მეკი არხეინათ ვიყავი. მოვდივარ ძირს. თვალები დავხუმე, არ მინდა რაღა რომ ჩემ ნესჩასტიას თვალით ვუყურო. ახოტნიკი კატასავით განაბული ვარ და ველოდები როდის ამამძვრება სული. ერთიც ვნახოთ ტყაპანი მომძვრა ძირს და ისეთ ნაირათ დავასქდი მიწას, რომ „ვეყეო“ დამაძახებინა. ფილტვები და ჯიგარი სულ ამამეგლიჯა და ენა დასიცხული კამეჩივით გადმომივარდა გარეთ. ვეკვირი: გოსპოდინ ლემენც, ნი უბივაი რადა! ია ეე ვაში სტარი მუშტარ მეთქი! პომნიშ, ვი ნა ავლაბარ პივნოი იმელ, და ია ვდენ ჩეთირე კვარტი პივა ვიპივალ მეთქი! დავიწყე ბღავილი დასაკლავი ხარივით, შავაბრალე თავი და წამიყვანეს პლენში.

ეჰ, იაკანუშ, უნდა იცოდე თუ რა დღეში ვარ! ვდგეკარ თუ ვზიარ სულ შენ მაგონდები. შენი წერილი მივიღე და იწერებოდი რომა „ჩემი წერილი დაუქერია და ცენზორს არ გაუშვიაო“. შე დალოცვილიშვილო, კაკ მოგნა! რაც ჩვენ ჯეელობაში რომე სეკრეტები ჩაგვიშვიეს ... ერშიყობა გაგვიწვია, შენ სულ წერილში გაგიკრელებია

არა, არც

გასამტყუნარი ხარ მე და ჩემმა ღმერთმა. წელიწად ნახევარია ქმარი თვალით არ გინახავს რაზუმეიტსა რომ ლუბოვნი წერილს მამწერდი. იაკანუშ, განაცვლე სულის დიხანიაში. ვიცი რაღა რომ არშიყობის გუნებაზე ხარ და გინდა რომ ერთი ლაზათიანი კრეპკო სეკრეტნი წერილი მამწერო, მაგრამ ის ცენზური რომ არ გიშვებს! ნიჩავო, იაკანუშ, მალენკი ლუბოვნი პისმა მოგნა პისატ. დუშა მაია, თუ გინდა რომ არ დაიკარგოს და პრამათ მე მივიღო ასე მამწერე:

ტიფლისი და გრანიცა,
ავსტრია-გერმანია,
პროშუ პერედატ პისმო
სალდატეე „ლეტანია“!
კირაკოზუ მინასიჩ
გერმანსკომუ პლენომუ,
ცალეი კრასნი გუბი
კუპწუ ავლაბარსკომუ.
კადა ბუდიმ, უვიდიმ,
დუშა მოი რაისკი,
კადა ბუდიმ აბნიმატ
სალაეი მაისკი!
ცენზურ, პლენი ხომ იცი,
უცოლოთ რა დღეშია,
მაშ მიეცი ეს პისმა
ჩემს კირაკოზს ხელშია.

იაკანუშ, გენაცვალე სეკრეტბიენიაში თუ გინდა რომ წერილი არ დაიკარგოს აბეზატელნათ ასე დაწერე.

სხვა, დუშკა, ჩემი დარდი ნუ გექნება. ისე ვსუქდები, როგორც მაშკა ღორი. იმოტოლა კარტოფილი დავანელე რომ ვინ იცის მანგლისში ათ წელიწადსაც არ მოვიდეს იმდენი.

დასვიდანია, ცალუიუ ტუბია ი აეიდაიუ პისმა. ტვოი ვსიაკი ვრემია ლუბლენი მუე კირაკოზ.

გოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერანი

ეშმაკი.



შიო მღვიმელი.

კვირას, 14 თებერვალს სახაზინო თეატრში იმართება შიო მღვიმელის სადღესასწავლო დილა.

დარჩენილი ბილეთები სახაზ. თეატრის კასაში მოიკითხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე გვერდი



სოციალისტ ფედერალისტი. აი ქვეყნისათვის თავდადებული ხალხი! ბარაქალა თქვენს მხნეობას!

მესამე გვერდი



სოც. ფედერალისტი. აი ეგრე! მადლობა ღმერთს ერთი ხალხის მოღალატით ნაკლები იქნება.

გურული ენაკვიმატები.

გოგი დოლიძე.

ბევრს იქნებ კიდეც გაუკვირდეს დოლიძის აზნაურობა, მაგრამ ეს ასეა, გოგი აზნაური იყო, აზნაურობა თავისი ენა მახვილობით და მოხერხებულობით მიიღო. გოგი ბახველი იყო, ცხოვრობდა გურიის მთავრის გურიელების მთავრობის დროს და მოესწრო სხვა დროსაც.

გოგი ჩხავერს უჩივის.

ერთ წელიწადს, გურიაში განთქმული ჩხავერი ნაკლებათ მოვიდა და რაც მოვიდა იმის წვენსაც ნაკლები გამოსაღები დაურჩა, რადგან „ჩხარკი“ დარჩა. (ჩხარკი—გამომშრალი, გამოფიტული). გოგი დოლიძემ მოჭკრიფა ჩხავერი, ჩაყარა საწნახელში ორი-სამი საწყავი წყალიც დასხა ზედ და დაწნიხა. გამომხმარმა „ჩხარკა“ ჩხავერმა არამც თუ ღვინო არ მისცა გოგის, არამედ წყალიც შეიშრო. ამ დროს ოზურგეთში უკვე მოქმედებდა ახლად შემოღებული სასამართლო, რომელსაც გოგი ალმაცერად უყურებდა... გოგიმ მოსრიგებელ-მოსამართლესთან ჩხავერს ზარალი უჩივლა. მოსამართლეს ჩხავერი ვიღაცას გვარი ეგონა და საქმე გასარჩევად დანიშნა. საქმის გარჩევის დღეს გოგიმ მოსამართლეს შესჩივლა: „მის ღვინოს თუ არ მაძლევდა, ჩემს დასხმულ წყალს რაღას მერჩოდაო“ და ითხოვა ჩხავერი დაესაჯათ და მისთვის ზარალი მიეზღოთ.

გოგი და ლოთი.

გოგის ერთი ლოთი მეზობელი (მ. ჩ—ძე) ყავდა. გოგი ხშირად ამხილებდა, მაგრამ ის მაინც არ იშლიდა. ერთ, დღეს დილა ადრიან, გოგიმ დანახა, რომ მისი მეზობელი, უკვე მთვრალი, ბარბაც ბარბაცით ყორეს მიყვება. გოგიმ დაუძახა: „ჯერ რა გიჭირს, მარა მერე რა გეშველება შე განიკებულო მაგი ყორე რომ დეილევა, მერე სად მიხვალო“.

გოგი და ფირალები.

გოგი უკვე ღრმა მოხუცებული იყო. ამ დროს გურიაში ფირალები დათარეშობდენ. ფირალის შენახვისათვის მაზრის უფროსმა ბევრი გურული დასაჯა. სხვათა შორის მაზრის უფროსმა გოგი დაიბარა და უთხრა: შენ თურმე ფირალებს ინახავ და თუ არ დაიჭირავ და არ მომგვრი გადაგასახლებო. გოგი დაბრუნდა სახლში. აიკიდა დიდი გოდორი და დაიწყო ტყე-ტყე სიარული.

— რას ეძებო, ჰკითხეს გოგის.

— მაზრის უფროსმა მითხრა ფირალები იპოვნე და მომგვარეო, თუ ვიპოვნე ჩავსვამ გოდორში და მივგვრიო.

— კი მარა ფირალი შინ გყავს და შენ ტყეში ეძებო?! მაგას ხომ არც ღმერთი გაპატიებს და არც მთავრობაო. უთხრეს გოგის.

— კი ვიცი მაგია ღმერთის კანონი. ღმერთი, დეილოცა მისი დიდება, მე მომკლავს, ფირალი კი რომ უღალატო ჩემს შვილებს: ტარიელს, მელქისას, რაფიელს მომიკლავს, სახლ კარს დამიწვავს. მთავრობა კიდევ თუ გადამასახლებს მთვარეზე ხომ არ გამაგზავნის, სხვა ქვეყანაში გამაგზავნის და ღალატს კიდევ მაგი მირჩევნიაო. მიუგო გოგიმ.

გოგი და თავ. დიმ. გურიელი.

გოგის დროს ოზურგეთში ცხოვრობდა თავ. დიმიტრი გურიელი. გურიელი ოზურგეთის მთავარ ქუჩაზე ცხოვრობდა და მისი მტკიცე ჩვეულების თანახმად გამვლელ-გამომვლელს ყველას სახელსა და გვარს ჰკითხავდა. ერთ დღეს გოგის სასამართლოში საქმე ჰქონდა, გურიელის მახლობლად ორი საათის განმავლობაში ორ-სამჯერ გაიარა. გურიელმაც ყოველთვის ჰკითხა ვინაობა. მეოთხე შეკითხვაზე გოგი შევიდა ერთი ნაცნობის ოჯახში, ჩამოიღო კედლიდან ხატი, მიიტანა ქუჩაზე მწყრალ ცნობის მოყვარე ფეოდალთან და დაუფიცა:

— ამის მადლმა და ძალმა კისერი მომტეხოს თუ მე ნამდვილი გოგი ღოლიძე არ ვიყო.

გვ-ყია.



გურული სცენა

გიგო და გიტო.

გიგო. —აა, გიტოსა წყალობა ღვთისა,
აბა, რას გვეტყვი ამბავს ფოთისა?
გიტო. რა გითხრა, გზები გასაოცია,
ცოცხალი რომ ვარ მოსალოცია!!
ეს დელეჟნები თან და თან ხთება
იმათ ფანჯრებში დათვი გახტება
შიგ „პოსაჟირებს“ უთვლელათ ყრიან,
დიდ ტალახებში ძირს ჩამოგყრიან...
გიგო. ასეა, ძმაო, გზები ყველგანა.
უპატრონოა ჩვენი ქვეყანა.
ვის ვენაღვლებით, გაუჩნდათ ჭირი,
სხვა, რაა ფოთში იაფი, ძვირი?
გიტო. იაფი არის თუ რამეს ყიდი,
ცეცხლი ენთება შენ რომ იყიდი.
გსურს რამე სჭამო? მიეც რაც უნდა...
სად იშოვება აბაზის ხურდა?
გიგო. კოოპერატივს უდგია სული?
გიტო. გაგინათლდება რომ ნახო გული,
გამგეობაცა მუშაობს კარგა
მწარმოებლებიც ვარგა და ვარგა.
გიგო. კიდევ რა იცი, რას იტყვი სხვაზე
ევანგულოვს, ან ქალაქის თავზე...
გიტო. ვით მე არ ვარგვარ ღერენალათა,
არც ტყემალაძე ფოთის თავათა.
დახტის უპრავის შკაფიდან-შკაფში,
ხალხი სულს ლაფავს სიბნელე-ლაფში,
ასეთ წვილმანსა თავს რათ დაუდებს...
მსხვილმანებს, მგონი, ვერას გაუგებს.
სამაგიეროთ ყოჩალათ ხვდება
თუ კი გაფიცვა სადმე მოხდება.
ახლაც ჭკვეთა ფარმაცევტებსა,
ცხვირს დავამტვრეო ტუტუც ცეტებსა,
მაგრამ ხმოსნები აღუდგენ წინა...
მერმე პროვიზორს წაეპოტინა,
პოლიციასაც კი წარუდგინა
რომ დააცლიონ მაგ თავხედს ბინა.
ევანგულოვიც მისია კუდი...
გიტო. რა ჰქნა მიშასთან რომ ქონდა სუდი?
გიგო. რას უქმდა მიშა, დროი ცუდია,
თვით მასწავლებლათ არსო სუდია

და ეს კი მისი დირექტორია,
ამაზედ ხალხში ბევრი ჭორია...
გიტო. ჰო, მივხვდი მივხდი, ნუ ამბობ, კმარა,
რადაი, ძმაო, ფოთი წამხდარა...
კაპარჭინაზე რა ამბებია?
გიგო. უფერულათ გვყავს მექარხნებია:
სერგი, ერასტო, აპოლონია
კარებს ვერ აღებს შიშით მგონია,
შანტაჟისტები გადაჰკიდიან
თითქოს ფულები ტომრით ჰკიდიან.
სთხოვენ და სთხოვენ წერილებითა
გავსილა ფოთი მაგ წუწკებითა.
აბა გიორგის რა კითხვა უნდა
ზაკაზებისა ჰკიდია გუდა.
ათას ჭახრაკში სწურავს და გაჰყავს
და აბა მისგან ხეირს ვინ ნახავს.
ბეჟუკ ვარგოდა, მანც დადვა ზავი,
რა ქნას სიბერე არის, ძმავ, ავი.
ესეფ ცუცხმუტობს, თითქო სულ ჩქარის
ერთ დონეზე კი არის და არის.
მოსე კი დახტის, როგორც რომ ხელი
ოცი დაგპირდეს ერთსაც ნუ ელი.
ბრტყელ-ბრტყელ საუბრობს თედო ხელია
გაუმსო შეშამ საფეთქელია.
ერმალოს საქმეც მიდისო კარგა
ის საზოგადო საქმეშიც ვარგა.
ფარულავა კი, ვაჭრათ ნაღდია
მართალი რომ ვსთქვა ცუდ გზას ადგია...
საქმე გაქ მასთან უცდი და ელი
მეიკიდიო ნუ ფიქრობ ხელი.
ეხ „დრონი მეფობს“ ბრძენთაგან თქმულა
თუმცა ასეა ჩემო გიტულა,
მაგათზე ბევრი ითქმის და თქმულა
ნახვამდის ძმაო დროს ვკარგავთ ტყულა.

შხანკოლა.

დეპეშები.

ნაოლალევი. გუშინ ადგილობრივ სამკითხველოში წყალ-ქვეშა ნავი კინაღამ აღმოაჩინეს. საქმე მშვიდობიანათ გათავდა, მაგრამ ურიგო მაინც არ იქნება სამკითხველოს შენობის სახურავს შეაკეთებდენ, რომ წვიმისაგან შიგ ტბა არ დადგეს. მაშინ ვეღარც ნავი შემოიპარება.

—

ხობი. ცნობილი ივანე უკვე გამაგრდა დაბის ყველა ფურნეში და იქიდან ესვრის საზოგადოებას ცომსა და კუჭის ამშლელ ყუმბარებს. ხალხი აღელვებულია. მოქმედობს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი ფურნე-ფორტი. დანარჩენი ჩაჩუმებულია.

—

ონი. ადგილობრივი ვაჭრები ყველაფერს ისე სწრაფად უმატებენ ფასს, როგორც ლუკია მეტრეველი მამასახლისობის დროს ბეჭდის ფულს. ვისაც საშუალება აქვს ვურჩევთ საყიდი დილითვე იყიდონ, რადგან საღამოზე ფასი ორი წილი იქნება, ხოლო ვინც ვაჭრობას მეორე დღისათვის გადასდებს იგი პირდაპირ დაღუპვის გზაზე აყენებს ოჯახს.

იქიდანვე. როგორც იქნა მოისვენეს ადგილობრივმა ძაღლებმა, ვინაიდან ხორცის საჩეხი ჯირკები გადააპირქვავეს და სახრავ-ჩუბარი აღარაფერი აქვთ.

ჭრებალო. სოფ. ჭყვიში ღვინის ფასმა საგრძნობლათ დაიწია. მიზეზათ ერთ-ერთი პედაგოგის გადაყვანას ასახელებენ.

ჭრებალოს სამკითხველოში ვიღაც ბოროტმოქმედებს სულ-შემხუთავი გაზი დაუყენებიათ. ალბათ ამით აიხსნება, რომ იქ ჟურნალ-გაზეთები ვერ იცდიან.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ჭრებალოს ფოსტის მოხელენი. რომელ წერილსაც შეატყობენ ნოტიოს სუნი აქვს, ხსნიან, აშრობენ და ისე უბრუნებენ პატრონებს.

სა—ლე. *)

კაცხი. ქ-ნ მასწავლებლის მდივნობით და ერთი „მამულიშვილის“ თავმჯდომარეობით გაიმართა ფარული კრება. კრების მიზანია გამოარკვიოს

*) სამწუხაროთ თქვენ სხვისი ფსევდონიმი მოგიწერიათ.

„თანამედროვე აზრის“ კაცხელი კორესპონდენტის ვინაობა.

ჩ—

იქიდანვე. საკრედიტო ამხანაგობის წესდების ერთი მუხლი აუკანყდა ბ. ბრეგვაძეს და მოითხოვს იმის ამხანაგობიდან გაძევებას. ბრეგვაძე დიდათ შეუშფოთებია ამ გარეობას და აჯანყებულთა წინააღმდეგ მიუმართავს „სულ-შემხუთავი“ ლანძღვა-გინებისათვის. იქნება მათრახის კოლმა დაამშვიდოს. ეთხოვთ ბატონ ეშმაკს მოხედოს ავათმყოფს

ზახრუმა

რატომ გადაგწყვიტე პრაპორჩიკობა.

(უძღვნი ხონელ ბარიშნებს)

რაც რომ პრაპორჩიკობა შემოვიდა მას შემდეგ ხონელ ბარიშნებს დიდი გამოცოცხლება დაეტყო. არშიყობაში მართალია უძველესი დროიდან ნაქები იყვენ, მარა ახლა მაინც ყოველივე მოლოდინს გადააჭარბეს. იმისთანა კომპლიმენტებს ისვრიან რომ, გერმანკაი სისტემის ავტომობილი გინდა გაექცე და არ ეესხვერპლო. აი ჩვენი ვიმნაზისტები ხომ ნაქები იყვნენ არშიყობაში, მარა, რაც რომ პრაპორჩიკობა შემოვიდა მას მერე მათი კურსი საგრძნობლად დაეცა და ალბათ ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ ბევრი მათგანი პრაპორჩიკობის სურვილმა გაიტაცა და დღე-ნაიდგგ იმაზე ოცნებობენ.

ერთ საღამოს ბაღში გავისერინე. ჩემდა საუბედუროთ ერთ „ინტელიგენტნაია ბარიშნას“ გადაეყარე და გავიცანი. მე საერთოთ მომწონს „ინტელიგენტნაია ბარიშნა“ და ინტელიგენტური ლაპარაკი. დაუწყე მუსაიფი ცოცხალი ინტერნაციონალის შესახებ:

„სიბარულით მეესება გული, როდესაც ვკითხულობ, რომ ინტერნაციონალი არ მომკვდარა“

„ანტონეს ნაცოლავი ახლა კი არა რახანია მოკვდაო!..“

უკაცრავათ, თქვენ ალბათ ვერ გაიგონეთ, მე ინტერნაციონალზე ვლაპარაკობ... მეთქი.

მტერს იმისთანე შენს სანდროს იმან წაჰკიდა.

„შენ, ჩემო ძმაო, ვიღაცა ხარ მუტიკი ყოფილხარ, რას იგინები, „ბოშლა სობაკა ბეზ ხვოსტ“-ო და შემაქცია ზურგი. ვიტკუცე თავში ხელი, მოვტყუებულვარ და ისაა მეთქი. ამასობაში წინ ვიღაც პრაპორშჩიკი შეგვეჩქვეფა თვისი ყვითელი ეპოლეტებით, გაუქან-გამოუქანა კუდრ-ბაკი-არ გაგაცნო თავი!

— ბუდემ ზნაკომი იულიაო—უთხრა, გამოსდუა კლავი-კლავში და მოჰკურცხლა. გავშტერდი კეკალი კაცი. ვთქვი: აქანე ინტელიგენტნობა კიარა პრაპორშჩნიკობა ყოფილა მეთქი. ჩავლუნე თავი და გამოვიქეცე სახლისაკენ, მას შემდეგ ვეძებ მასწავლებელს. მინდა იმ სკოლისათვის მოვემზადო. ბევრი არაფერი მაკლია,

ვინა ხართ მადლიანი!

გურული ბიჭი.

ბოსლობა რაჭაში.

— ერთობის შემდეგ გემო აღარაფრისთვის ჩამიტნეეია და სიმართლე რომ სთქვას ქვეც აღარაფერი შემრჩენია! ავდექი და ვუთხარი ჩემს დედაკაცს, „ისევ ძველ წეს-ჩვეულებას ნუ დავაგდებთ ბეჩა, მოამზადე რამე, მეც დავიძახებ „ბოსელ-ბოსელ“-თქვა. „კარგიო“, მითხრა, ეშოვნა საცხა კაი ყველი და ისეთი მსუქანი ხაჭაპური გამოეცხო, რომ მისი გულისთვის ბოსელში კი არა, ქუთეისს წევიდოდი. სამი კვერცხი მოეხარშა, მაგრამ რათ მინდოდა? კვერცხს ხარებს წაუსვამენ ზურგზე: „ასე გარგვალდიო“. მე კი ხარი არა, თვალგაპობილი აღარაფერი გამაჩნია. როცა ბოსელში მიდიან, ზურგზე ბოვშების მოკიდება იციან... მე ბოვში ქვე ვინლა მამცა! ერთი შვილი მყავდა და ისიც ფშინერმა დამიკარგეს. ბოვშის მაგიერათ სკამი წამოვიკიდე, სანათური ავანთე, ცხელი ხაჭაპური გულზე მივიხუტე და გავსწიე ბოსლის კენ. ჩემი ბოსლის ამბავს არ იკითხავთ? იგი ძლივს გადავარჩინე 1906 წლის ცეცხლს. მივდივარ და მივიძახი: „ბოსელ-ბოსელ-ბუუს“, მარა გული მიკვდება, ფეხები უკანა მრჩება, რადგან ვიცი „ბოსელში აღარაფერია“. აღარ მაძლევს იქიდან პასუხს ჩემი ნიკორა, რომელიც ატუკანტის ვალში გავყიდე. რაღა შემაპარვდა მე უბედურს იმ ხაჭაპურს! გულ დაწყვეტილი სახლში გამოვბრუნდი, მარა აქ დედა-კაცმა კარები აღარ გამიღო. ვიფიქრე: „ღმერთო! შეგცოდე და ქვე ხომ არავინ შემენაცვლა ამ ბებერ-

თანა თქვა“. შენც იცი, ეშმაკო, რომ როცა კაცი ბევრნაირ უბედურებას გამოიცდის, ყველაფერზე გული გაუტყდება. — „კარი გამიღე“ მეთქი შეეძახე. მარა ცოლმა შიგნიდან ძველებურათ დაძახება მთხოვა. ამან კიდე უფრო ეტვში შემიყვანა ვიფიქრე: „ვაი თუ ძველებურ გაჭიანურებულ შეძახილ-გამოძახილში იმან თავისი ქნას თქვა. მარა მეტი რა გზა მქონდა, რადგან შინ აღარ შემიშვა, მეც მოვყევი.

— კარი რკინისა!

— „არა მეუფისაო“ გამამძახა ქალმა.

— ქვე ვინა ხარო! მეც მოვყევი, რაც რიგია: ქვე მე ვარ შენი ბერუკაი, ღმერთმა მოგცეს ბევრი კაი, ქვე ბევრი ჩურჩხალეები, მასთან ტკბილი კვერუკაი, სტარშინას გძელი ულვაში და იმისი წვერუკაი, ღვინო ისე მოგდიოდეს როგორც რომ ჩვენი რიონი, აგშორდეს დანუსჩიკები, ჯანშუში და ფშიონი!

— ხარებმა რა შემოთვალეს?

— სახვნელები დაამზადეთ ჩვენ მზათ ვართთო.

— ძროხებმა?

— საწველები დაამზადეთ ჩვენც მზათ ვართთო.

— ქალებმა?

— აკვნები დაამზადეთ ჩვენ მზათ ვართთო და

და სხვა...

ამეების შემდეგ როგორც იყო გამოიღო კარები და მეც შევედი სახლში თვალების ბეცებით... იქ სხვა არავინ იყო და ჩემი ეტვებიც გაიფანტა.

ჩაჩიკა.

ფოთი

ჩონჩხი ამაღლობელის ლექციისა.

გრძელდება ომი, არ ხდება ზავი,
არც კი ემჩნევა ბოლო და თავი,
ინტერ-ნაციამ იცვალა ფერი
ჩამოყალიბდა ყოველი ერი.
ჩვენ ქართველ ერსაც დაგვიდგა ხანა
მწუხარე გული რომ მოგვეფხანა.
მე მივხვდი ზრახვას ერის გულისა,
გავხდი მალამო მათი წყლულისა.
სოფელ ქალაქად კარიდან კარად
დავდიავარ ოფლი*) ჩამომდის ღვარად
ვაცხადებ: **მარქსი** გაკოტრდა სრულად
ენორდანიასაც ტყავს ვაძრობ მტრულად.
ერმა შვა ბურჯთ **კიტა** და **თედო**
აწ განიხარე ივერთა ბედო!!!
მაშ გაუმარჯოს ფედერაციას
იგი მოუვლის ქართველ ნაციას,
ძრს დასილები—დემოკრატია,
რადგან თვედორემ იგი დატია“.
(აი ის სიბრძნე მჭევრ-მეტყველობა
რომლისაც „ლექტორს“ მისცეს ხელობა).

*) ოფლი სირცხვილის ნუგეშის კონაა,
„ლექტორს“ ამეკვარი არც კი ჭქონია,
სჩანს სტაჟენდა—საქმენრე ბინა,
დასვლებს რამე თუ არ „ჭუანა“
„შუქთან“ ბრაგის არ ებოძება.
ნაშეს მიხვდეთ არ ეახლეთ ნება,
მდგომარეობაც ავფერ-შეგშია,
საქმე „ერთნულ“ კიდო ხმაშია
და ვინც ეატანს ბოდომდე დედოს
ნადდეთ მიიდეს სრულ ეასმრჯედოს.

ბუტუნა

სიზმრის ახსნა.

(ბაბუმისთვის)

თებერვლის სიზმარი ამავე თვის ოცდაათამდე ახდება.

ქალაქის თავი ნახო—კარგია, რუსეთის გეოგრაფიის პრაქტიკულად შეისწავლი.

თვითმმართველობის წევრები ნახო—კარგია,

ყოველგვარ სანოვაგეზე ნიხრი გაუქმდეს, ვაპრებს მიენიჭოს სრული ავტონომია.

ინეენერი ნემანოვი ნახო—ცუდია, გასესხებული თუ რამ გეკნეს ვეღარ აიღო.

მინა მასხარაშვილი ნახო—ცუდია, ვინმე ქუჩის ტაკი-მასხარამ მოგატყუილოს, წაგიყვანოს უცხო მხარეს და ულუკმაპუროდ მიგატოვოს უცნობებ შორის.

მსხვილი ანუ წვრილი მოიჯარადრე ნახო—მეტად ცუდია, ელოდე დიდს ზნეობრივ მეტამორფოზას სირცხვილ-ნამუსს და სინდისს სამუდამოთ გამოეთხოვები.

მუშა ნახო—კარგია, ზედ მიწევნით შეისწავლი კარტის და კამათლის თამაშს.

მიკიტანი (ანუ ექს მიკიტანი) **ნახო**—ღვინო ნარევი წყალი იგემო.

ტყავის ვაჭარი ნახო—მეტად ცუდია, სიზმარი ესე ახდების მეცხრე დღეს, ელოდე ცხრა წილი ტყავის გაძრობას.

ნოქარი ნახო—ვერაფერი სანუგეშოა, შეგიბყროს საშინელმა მცონარემბამ, დაკარგო ყოველივე საქმიანობის უნარი და ხალისი გარდა კარტის თამაშისა.

ბ—ი ჩხიკვაძე ნახო—კარგია ჯოჯოხეთიდან განთავისუფლდე. (რასაკვირველია სიკვდილის შემდეგ).

მღვ. ჩხიკვაძე ნახო—???

სერგო უუფარაძე ნახო—გაზ. „თან. აზრი“ სანთლით საძებნელი გაგიხდეს.

ყასპები ნახო—ცუდია, სჯობს მეორე დღეს თავი დაიზღვიო (დისტრახო) თორემ მკვდარი კამეჩის ხორცმა მოგკლას.

მეპურე ნახო—კარგია, პურის ცომი („გამომცხვარი“) გაიაფდეს, 5 კაპეიკიდან 7 კაპეიკამდის დაიწიოს ფასმა.

კ—ხი.

გამოცანა.

(კაცხელებისათვის)

ფერად შავგრემანი,
ტანად დაბალია,
თავს ხურავს მისფერი
ქუდი მაღალია.

წარმოდგენა დიდი
აქვს თავის თავზედა...
მეტად იბუზება
წითელ მამალზედა.

სასაცილოდ იღებს,
ვისაც დაინახავს,
მეხი დავაყარე
მაზედ უფრო გლახას!

პირში გეფერება,
ისე კი სხვას ფიქრობს,
თუ დგიხელია
ანგელოზს დაგიფრთხობს.

ჩვენს საერთო დუქანს
ვითომ თანაუგრძნობს,
ხალხში მის წინაღმდეგ
ბნელ საქმეს განაგრძობს.

ფიქრს მის სავაგლახოს
არ იშორებს თავში,
ვაჰ, თუ ჩაუვარდეს
მას კოვზი ნაცარში.

ქრთამგბის საქმეებს
მის დუქანში ჩარხავს,
ტყვილა არ გეგონოთ:
ისიც ხეირს ხეირს ნახავს.

დროა, მგონი, იცნოთ
გაიძვერა, ფლიდი,
საშიში კაცია,
ერთობ მოსარიდი.

ზახრუმა.

ახალი სახელები

ჩვენი დაბა-ქალაქებისა, გამოგონილი გაზ. „საქართველოს“ მიერ.

გაზეთი წინადადებას იძლევა ჩვენს დაბა-ქალაქებს ასე ვუწოდოთ:

საქართველეთი, ტფილისეთი, ოვეალეთი, მცხეთეთი, ქსანეთი, კასპეთი, გრაკალეთი, ქარელეთი, გომეთი, მეტეხეთი, ხაშურეთი, სურამეთი, სუმბათოვეთი, ბორჯომეთი, ახალციხეთი, ახალქალაქეთი, აბასთუმანეთი, ზესთაფონეთე, რიონეთი, ქუთაისეთი, ხონეთი, სენაკეთი, ბამუმეთი, აჭარეთი, ფოთეთი, გურიეთი, მეგრელელი, სუხუმეთი, და გაზ. „საქართველოში“ გამეფდა უკუმეთი.

ფოსტა

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ **უსახელო ავტორებისა** და **უცნობ პირთა** წერილები ეურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქციისთვის სანდო პირი.

სარედაქციო წერილი უნდა დაიწეროს ქალაქის ცალ გვერდზე და ყოველ აღნუსხულ ამბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქციო წერილი რედაქციაში მოსულამდე **არ** გახსნან, საჭიროა კონვერტზე აღრესის შემდეგ დაეწეროს: „ეშმაკის მათრახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

—

ამ. ოთ-ის. „ბათუმს ცხოვრობს ერთი კაცი,
ტან შიშველა, უფეხო რიგა...
ზოგ-ზოგიერთ ბარიშნები
შეტოთ ამბან კაკვიჯა“.

გასაკვირი და საგაზეთო აქ არაფერია. „ტან-შიშველა“ კაცი ვის არ გაგიგეტებს, მაგრამ ცხადია ამ ახირებულ ყმაწვილს შურის ძიების გრძნობა ამოქმედებს.

განა არ მოგხსენდებათ „ტან-შიშველა“ ქალს რამდენი ჯაბუკი გაუგიჟებია“.

საცოლოს. „ჩემი დექსი ის დექსია,
რამეადაც რომ მზის დექსია,
დამეს კეთოს და წუდადგს ეჯეგ,
რაც ბუდბუდი სეფსა დაფეგ.

ასეთი ლექსით რომ ცოლის შოვნა შეიძლებოდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

— რატომ?

— აი რატომ. საქართველოში უტყუარის ცნობებით ორ მილიონ ნახევარი პოეტია. ესენი ყველანი ცოლიანი იქნებოდნენ. ერთი მხრით ქართველი ხალხი გამრავლდებოდა, ხოლო მეორე მხრით წერილი შვილები მგოსნებს ლექსების წერაში ხელს შეუშლიდენ და ჩვენი რედაქცია მოსვენებით ამოისუნთქავდა.

გალიორკას. აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს. არ იბეჭდება.

წერილი რედაქციას.

„ეშმ. მათრახის“ მე 3-მე № ში მოთავსებული დეპეშა სოფელ ხიდისთავიდან, **მ—ფ—ე—ს** ფსევდონიმით. ხსენებული დეპეშის ავტორი სრულიად შეუფერებლათ და დაუმსახურებლათ მეხება მე მასწავლებლის ჯამაგირების კითხვაში და მათი (მასწავლებლების) ფულების „გადახარჯვას“ მაბრალებს. რომ ფაქტიური მხარე გამოირკვეს და უსაბუთო ბრალდებით ვინმე შეცთომაში არ შევიდეს ამიტომ მოვითხოვ ხსენებული დეპეშის ავტორი გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში რომლის განაჩენი უნდა გამოცხადდეს აუცილებლათ გაზეთში. ვადას ვაძლევ დღიდან გამოცხადებისა ორ კვირას.

ბასლეთის მამასახლისი **გიორგი კალანდაძე.**

„ეშმაკის მათრახის“ ხელის-მომწერთა საყურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს ეურნალის ფული ვისაც არ გადაუხდია ადრე გამოგზავნონ, წინაღმდეგ შემთხვევაში „ეშმ. მათრახის“ გზავნა შეუწყდებათ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:
Тифлисъ, Ольгинская № 6, С. Таварткиладзе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ესმით ბავშვებს დიდების ლაპარაკი



პატარა ტიტო. აი, თურმე რატომ ამბობს დედა: მამამ მშვენიერი მსახური დაიჭირაო.

ნებადართულია სამხ. ცენზ. სტამბა „შრომა“. რედაქ-გამომც. თ. ბოლქვაძე.